საერთაშორისო კონფერენცია

2013 წლის 5-6 ნოემბერს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა რეგიონალური კონფერენცია თემაზე: **აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების უპირატესობები და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმები.**

კონფერენციაში მონაწილეობდნენ რუმინეთის, საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, მოლდოვეთისა და აზერბაიჯანის პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტის თავმჯდომარე **კონსტანტინე დათიაშვილი**, გამგეობის წევრი **რევაზ ძაძამია** და აღმასრულებელი დირექტორი **ლავრენტი ჭუმბურიძე**.

კონფერენციის ორგანიზატორი და მასპინძელი იყო არასამთავრობო პროფესიული ორგანიზაცია რუმინეთის აუდიტორთა პალატა (კამერა). იგი საქმიანობას ეწევა 1999 წლიდან და ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს ერთადერთ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების საფუძველზე, არეგულირებს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროს. პალატის ფუნქციებში შედის: აუდიტორთა განათლება და პროფესიული სერტიფიცირება; განგრძობით სწავლება; პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმება, დისციპლინარული მოკვლევა-სანქციები და სხვ. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში დასაქმებული ყველა აუდიტორი და აუდიტური კომპანია ვალდებულია, იყოს აუდიტორთა პალატის წევრი. აუდიტორთა პალატის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს რუმინეთის ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი საზედამხედველო (წარმომადგენლობითი) ორგანო.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთ ქვეყნებში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მდგომარეობა, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების არსებული პრინციპები და ისაუბრეს მათი სრულყოფის ღონისძიებებზე.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დისკუსია და მსჯელობა კონფერენციის მონაწილე ქვეყნებში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების ერთიანი პრინციპების გამოყენების შესაძლებლობებზე.

საქართველოში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის წინაისტორიის, მიმდინარეობისა და გამოყენების გაუმჯობესების გზებზე მოხსენება გააკეთა ბატონმა **რევაზ ძაძამიამ**. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა და მათი სრულყოფის პერსპექტივებზე მოხსენება გააკეთა ბატონმა **ლავრენტი ჭუმბურიძემ**.

დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები რუმინეთის აუდიტორთა პალატასა და კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების პროფესიულ ორგანიზაციებს შორის.